არასამთავრობო ორგანიზაციების მოსაზრებები საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესატან ცვლილებებზე

შესავალი

5 ივნისს საქართველოს პარლამენტში დარეგისტრირდა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს ცვლილების შეტანას საქართველოს ორგანულ კანონში „საარჩევნო კოდექსში“.

აღნიშნული ცვლილებებიდან დადებით შეფასებას იმსახურებს ის რეგულაციები, რომლითაც მარტივდება საარჩევნო სუბიექტიების, სადამკვირვებლო და მედია ორგანიზაიების საარჩევნო ადმინისტრაციებში რეგისტრაცია. (შემოდის ნებაყოფლობითი ხასიათის ელექტრონული რეგისტრაცია). აგრეთვე პოზიტიურ შეფასებას იმსახურებს ის რეგულაციები, რომელიც ემსახურება საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის პროცესის გაუმჯობესებას (მათ შორის კოორდინაციას სახელმწიფო უწყებებს შორის, საარჩევნო სუბიექტებისგან განახლებული ინფორმაციის მიღებას და სხვა.) თუმცა, აღნიშნული ცვლილებების პარალალურად უარყოფით შეფასებას იმსახურებს საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების ახალი წესი, აგრეთვე რეგულაციები, რომელიც გარკვეულ შეზღუდვებს ადგენს საარჩევნო ადმინისტრაციის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების კუთხით (ცვლილებები მედიის მიერ საარჩევნო კომისიების სხდომების გაშუქების, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემის კუთხით.)

ჩვენი მოსაზრებები შემოთავაზებულ ცვლილებებთან დაკავშირებით:

საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება

კანონპროექტის მიხედვით, საარჩევნო ადმინისტრაციაში პარტიების მიერ წევრების დანიშვნა დამოკიდებული იქნება პარტიის მიერ ბოლო საპარლამენტო არჩევნებში მიღებული ხმების რაოდენობაზე, ნაცვლად დღეს არსებული წესისა, რომლის მიხედვითაც, საარჩევნო კომისიებში წევრის დანიშვნა დამოკიდებულია პარტიის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ დაფინანსებაზე. **არსებული წესისგან განსხვავებით, აღნიშნული ცვლილებებით პარტიას ერთზე მეტი წევრის დანიშვნის უფლება ექნება საარჩევნო ადმინისტრაციაში,** რაც, თავის მხრივ, ვერ უზრუნველყოფს მრავალპარტიულ წარმომადგენლობას საარჩევნო კომისიებში. **მაგალითად, თუ დღეს მოქმედი წესის თანახმად,**

პარტიების მიერ დანიშნული შვიდი წევრიდან **„ქართულ ოცნებას“ მხოლოდ ერთი წევრი ჰყავს, კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, მას ოთხი წევრი ეყოლება.** ცვლილება მმართველი გუნდის დეპუტატების მიერ არის მომზადებული და, პროექტის მიხედვით, ის ძალაში 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ შევა.

კანონპროექტის განმარტებით ბარათში საუბარია იმაზე, რომ აღნიშნული ცვლილება მიზნად ისახავს საარჩევნო ადმინისტრაციის, როგორც სტაბილური ინსტიტუციის, საქმიანობის გაუმჯობესებას. **თუმცა, რეალურად იგი მეტად პრობლემურია როგორც საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ სანდოობის შენარჩუნების კუთხით, ისე პოლიტიკურ ძალებს შორის თანასწორი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ვინაიდან ის ცალსახად ემსახურება საარჩევნო ადმინისტრაციაში მმართველი პარტიის პოზიციების განმტკიცებას.** აღსანიშნავია ისიც, რომ სამოქალაქო საზოგადოება და ექსპერტები, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო დონეზე, დიდი ხანია საუბრობენ საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესის ცვლილებების საჭიროებაზე, რათა ეს მნიშვნელოვანი ინსტიტუტი მეტად იყოს დაცული არასათანადო პოლიტიკური გავლენებისაგან და დაეფუძნოს წევრთა პროფესიულ კომპეტენციასა და დამოუკიდებლობას.[1] **ნაცვლად აღნიშნული საჭირო მიმართულებებით ძირეული რეფორმირების განხორციელებისა, რასაც საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესი საჭიროებს, შემოთავაზებული ცვლილებით მოხდება ამ ინსტიტუციის კიდევ უფრო მეტად პოლიტიზირება,** ვინაიდან ახალი წესი გამოიწვევს, სხვა პარტიებთან შედარებით, მმართველი პარტიის დომინირებულ მდგომარეობას საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეზე.

ამასთან გასათვალისწინებელია, რომ საარჩევნო კომისიების პროფესიული წევრების შერჩევაში მონაწილეობენ ზემდგომი საარჩევნო ადმინისტრაციები. შესაბამისად, პროფესიული წევრების შერჩევის დროს იქმნება იმის რისკი, რომ დაინიშნოს მმართველი პარტიის მიმართ ლოიალურად განწყობილი ხალხი, იმ პირობებში, როდესაც „ქართული ოცნება“ სხვა პარტიებთან შედარებით უფრო მეტი წევრით იქნება წარმოდგენილი. ამიტომ, დაბალანსებისთვის საციცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ წევრების დანიშვნის შესაძლებლობა ჰქონდეს რაც შეიძლება მეტ პოლიტიკურ პარტიას და მმართველი პარტია არ იყოს „უმრავლესობით“ წარმოდგენილი.

აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ცესკოს დაკომპლექტების შემოთავაზებული რეგულაცია ვერ უზრუნველყოფს საარჩევნო ადმინისტრაციისადმი ნდობას და არჩევნების მართვის პროცესში პოლიტიკურ პლურალიზმს. საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტება არსებითი საკითხია, რადგან მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საარჩევნო პროცესის სამართლიანად წარმართვისადმი საზოგადოების ნდობას და არჩევნების

[1] https://gyla.ge/files/rekomendaciebi%20saarCevno%20garemos%20gaumjobesebasTan%20dakavSirebiT_ge.pdf JOINT OPINION ON THE DRAFT ELECTION CODE OF GEORGIA, Adopted by the Council for Democratic Elections at its 39th meeting (Venice, 15 December 2011) and by the Venice Commission at its 89th plenary session (Venice, 16-17 December 2011) para 36, 37.

შედეგების ლეგიტიმურობის ხარისხს, ასევე გავლენას ახდენს დემოკრატიული ინსტიტუტების ფორმირებაზე.

იმისთვის, რომ საარჩევნო ადმინისტრაციამ ეფექტიანად შეასრულოს თავისი ფუნქციები, მნიშვნელოვანია ცესკოში პოლიტიკური პარტიებისთვის გამოყოფილი კვოტის შევსების წესი იყოს სამართლიანი და ეფუძნებოდეს პარიტეტის პრინციპს, რათა არ მოხდეს მმართველი პოლიტიკური პარტიის გავლენის ზრდა. აღნიშნული ცვლილებების მიღების შემთხვევაში მოხდება საარჩევნო პოლიტიკური სივრცის დავიწროება, რადგან ცესკოს წევრების დანიშვნას ვეღარ შეძლებენ პარლამენტს მიღმა დარჩენილი ის პოლიტიკური სუბიექტები, რომლებმაც მართალია ვერ გადალახეს საარჩევნო ბარიერი, მაგრამ მიიღეს ამომრჩეველთა 3%-ზე მეტის მხარდაჭერა და კანონის თანახმად ფინანსდებიან სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

რეკომენდაცია: უნდა განხორციელდეს საარჩევნო ადმინისტრაციის ძირეული რეფორმა და საარჩევნო ადმინისტრაციის ზემდგომი ორგანოები (ცესკო, ოლქი) მხოლოდ პროფესიული ნიშნით დაკომპლექტდეს აპოლიტიკური და დამოუკიდებელი წევრებით. გარდამავალ ეტაპზე კი მიგვაჩნია, რომ:

- საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი არჩევნების შედეგებზე უნდა იყოს მიბმული, თუმცა არა მსგავსი გაუმართლებელი ფორმით: ერთ პარტიას საარჩევნო ადმინისტრაციაში მხოლოდ ერთი წევრის დანიშვნის უფლება უნდა ჰქონდეს და არა რამდენიმე წევრის, როგორც ეს შემოთავაზებული ცვლილებით არის წარმოდგენილი.

- ამასთან, უნდა გაგრძელდეს მუშაობა საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, რათა საარჩევნო კომისიების მსურველ პირთა შორის უზრუნველყოფილი იყოს საუკეთესო კანდიდატების გამოვლენა.[2]

- გვაქვს ერთობლივი დეტალური რეკომენდაციები და მზად ვართ ვითანამშრომლოთ პარლამენტთან საარჩევნო ადმინისტრაციის რეალურ და ძირეულ რეფორმაზე.

ცესკოს თავმჯდომარის არჩევა

შემოთავაზებული კანონპროექტით იცვლება ცესკოს თავმჯდომარის არჩევის წესი, რომელსაც არეგულირებს საარჩევნო კოდექსის მე-10 მუხლი. დღეს მოქმედი რედაქციის თანახმად, ცესკოს თავმჯდომარეს პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევენ ცესკოში პარტიების მიერ დანიშნული წევრები (გარდა წინა საპარლამენტო არჩევნებში საუკეთესო შედეგების მქონე პარტიის მიერ დანიშნული წევრისა). იმ შემთხვევაში, თუ პარტიის მიერ დანიშნულმა წევრებმა ვერ აირჩიეს თავმჯდომარე, შემდეგ მას ირჩევს საქართველოს პარლამენტი. წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივა ითვალისწინებს ცესკოს თავმჯდომარის არჩევას ცესკოს წევრების ორი მესამედის ან პარლამენტის მიერ. საარჩევნო ადმინისტრაციის

[2] http://www.osce.org/ka/odihr/elections/georgia/299306?download=true

უმაღლესი ხელმძღვანელის ცესკოს ორი-მესამედით არჩევის შემთხვევაში არჩევის პროცესზე გაიზრდება მმართველი პარტიის გავლენა, რაც შეამცირებს შედეგების ლეგიტიმურობას. ამის ალბათობა უფრო მაღალია ასევე იმ ცვლილებების გათვალისწინებით, რომელიც ცესკოს დაკომპლექტების შეცვლას ეხება და რომელიც უზრუნველყოფს მმართველი პარტიის წარმომადგენლობის გაზრდას ცესკოში. შესაბამისად, სხვა პარტიების მონაწილეობა და გავლენა ცესკოს თავმჯდომარის არჩევის პროცესში შესუსტდება, რაც მას მმართველ გუნდთან ასოცირებულ პოლიტიზირებულ ფიგურად აქცევს. ეს უარყოფითად აისახება საარჩევნო ადმინისტრაციის რეპუტაციაზე და მის მიმართ საზოგადოების სანდოობაზე.

რეკომენდაცია: მიგვაჩნია, რომ უნდა შენარჩუნდეს ცესკოს თავმჯდომარის არჩევის მოქმედი წესი.

საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემა

შემოთავაზებული პროექტი ითვალისწინებს ცვლილებებს საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადებში, კერძოდ, შესაძლებელი ხდება საჯარო ინფორმაცია ნაცვლად 2 დღისა, გაიცეს ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ 10 დღიან ვადაში:

მუხლი 8 (14) - საარჩევნო დოკუმენტაცია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა, ხელმისაწვდომია ყველასთვის. საარჩევნო კომისია ვალდებულია საარჩევნო დოკუმენტაცია და არჩევნების შესახებ ინფორმაცია მათი მოთხოვნიდან 2 დღის ვადაში, ***ხოლო თუ აღნიშნული ინფორმაციის გაცემა მოითხოვს უფრო მეტ დროს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით,*** გააცნოს ყველა დაინტერესებულ პირს.

აღნიშნული ჩანაწერის საფუძველზე შესაძლებელია, პრობლემა შეექმნას საარჩევნო პროცესებში ჩართული მხარეების საქმიანობას. ერთი მხრივ, დაინტერესებული პირებისთვის, მათ შორის მედიისა და სადამკვირვებლო ორგანიზაციებისთვის ჩნდება არჩევნებთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის მიღების რისკი, ხოლო მეორე მხრივ, იქმნება საარჩევნო ადმინისტრაციის გამჭვირვალობის, ეფექტურობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების უგულვებელყოფის რისკები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია, მათ შორის, ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს:
ა) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას;
ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას;
გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.“

აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული ორგანოები, როგორც წესი, პრაქტიკაში სარგებლობენ საჯარო ინფორმაციის გაცემის ათდღიანი ვადით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, „ამ კოდექსში მითითებული ვადების ათვლისას საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეები არ ჩაითვლება," მაშინ, როდესაც საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „ამ კანონით დადგენილი ყველა ვადა საარჩევნო პერიოდში, მათ შორის, სასამართლოსთვის მიმართვისა და სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადები, გულისხმობს კალენდარულ დღეებს (საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეების ჩათვლით)."

იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო ადმინისტრაცია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ვადებით იხელმძღვანელებს, შესაძლოა გაჭიანურდეს არჩევნებში ჩართული მხარისათვის ინფორმაციის მიწოდება, რაც საფრთხეს შეუქმნის მათ ეფექტურ საქმიანობას. კერძოდ, შესაძლოა სადამკვირვებლო ორგანიზაციამ დროულად ვერ მიიღოს საარჩევნო დოკუმენტაცია ან/და არჩევნების შესახებ ინფორმაცია, რაც მას ხელს შეუშლის სადამკვირვებლო საქმიანობის განხორციელებაში. აგრეთვე, ინფორმაციის სწრაფად მიწოდება მნიშვნელოვანია საარჩევნო დავების მიმდინარეობისას, რათა მხარეებს ჰქონდეთ წვდომა საკუთარი პოზიციის დასაცავად საჭირო დოკუმენტებზე. სხვაგვარად, მათ შეეზღუდებათ შესაძლებლობა, განსაზღვრულ ვადაში მოიპოვონ და წარმოადგინონ მტკიცებულებები.

მოქმედი წესის თანახმად,[3] საარჩევნო ადმინისტრაცია ვალდებულია ინფორმაცია გასცეს 2 კალენდარული დღის ვადაში, რადგან საარჩევნო პერიოდი შემჭიდროვებულ ვადებში მიმდინარეობს და დაინტერესებული მხარისთვის საარჩევნო ადმინისტრაციიდან გამოთხოვილი ინფორმაციის დროულად გაცნობას არსებითი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ, საარჩევნო კოდექსი საარჩევნო ადმინისტრაციას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისგან განსხვავებულ, სპეციალურად მოკლე ვადას აწესებს, რათა არჩევნებთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის გაცემა „არ დაბრკოლდეს ბიუროკრატიული, სამართლებრივად უსაფუძვლო შეხედულებებისა და დამოკიდებულებების გამო."[4] საჯარო ინფორმაციის გაცემის 2 დღიანი ვადა თანხვედრაშია საარჩევნო კანონმდებლობით განსაზღვრულ შემჭიდროვებულ ვადებთან **და მისი გაგრძელება მიზანშეუწონლად უნდა იქნას მიჩნეული.**

რეკომენდაცია: მიგვაჩნია, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადები უცვლელი უნდა დარჩეს.

[3] 2011 წლის 27 დეკემბრიდან დღემდე მოქმედი რედაქცია

[4] ბს-1061-1012(კ-06) ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

საარჩევნო კომისიის სხდომებზე დასწრებისა და კომისიის სხდომების გადაღების უფლება

საკანონმდებლო წინადადების თანახმად, განისაზღვრა, რომ არასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო კომისიის სხდომებზე დასწრებისა და კომისიის სხდომების გადაღების მიზნით პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა აკრედიტაციის წესი განისაზღვრება ცესკოს დადგენილებით. საგულისხმოა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი განსაზღვრავს კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის გამართვის წესებს. დადგენილი რეგულაციების თანახმად, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომა საჯაროა. სხდომა შესაძლებელია დაიხუროს მხოლოდ პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო ან კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის განხილვის საფუძვლით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სრულიად გაურკვეველია რა დამატებითი შეზღუდვები შესაძლებელია დაწესდეს ცესკოს დადგენილებით კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომაზე დასწრების კუთხით. განსაკუთრებით, მაშინ როდესაც საქმე პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ეხება. თუნდაც, არა საარჩევნო პერიოდში საარჩევნო კომისიების საქმიანობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია შენარჩუნდეს ზოგადი წესი, რომლის თანახმად, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომა საჯაროა, გარდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი გამონაკლისებისა.

რეკომენდაცია: არ მოხდეს აღნიშნული ცვლილების მიღება და შენარჩუნდეს ზოგადი წესი კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომების საჯაროობის შესახებ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.

ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის ამომრჩეველთა ერთიანი სიის საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილი ვერსიის გადაცემა

შემოთავაზებული წინადადების მიხედვით, საარჩევნო კოდექსის 31-ე მუხლს ემატება მე-7[2] პუნქტი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 85-ე მუხლის პირველი პუნქტის, 85[2] და 85[4] მუხლების მოთხოვნათა შესრულებისათვის, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა (ამომრჩეველთა) მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით თვითმმართველი ქალაქის ან თვითმმართველი თემის აღმასრულებელ ორგანოებს, მათი წერილობითი თხოვნის საფუძველზე, ***შესაძლებელია გადაეცეთ შესაბამისი მუნიციპალიტეტის საზღვრებში***

<u>რეგისტრირებულ ამომრჩეველთა სიის საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილი ვერსია, ფოტოსურათების გარეშე.</u> ცესკოს მიერ გადაცემული პერსონალური მონაცემების შემცველი ამომრჩეველთა ერთიანი სიის დაცვაზე და გამჟღავნებაზე პასუხისმგებელია შესაბამისი თვითმმართველი ქალაქის ან თვითმმართველი თემის ორგანო.[5]

არსებული ჩანაწერის გაჩენა შესაძლოა პრობლემური იყოს შემდგომ გარემოებათა გამო:

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფისათვის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა შექმნან სათანადო პირობები და უნდა უზრუნველყონ მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების ეფექტური განხორციელება, მათ შორის ჩართულობის მექანიზმის - დასახლების საერთო კრების ფუნქციონირება და იმ პირთა განსაზღვრა, რომლებიც:

1. შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩევლები არიან და მათ საერთო კრების წევრის სტატუსით, მის საქმიანობაში მონაწილეობის უფლება აქვთ;
2. პირები, რომლებიც სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობენ (შესაბამის დასახლების ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების მესაკუთრენი და ამ დასახლებაში მცხოვრები სხვა სრულწლოვანი პირები).[6]

მართალია, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-16 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია თავისი კომპეტენციის ფარგლებში და მის ხელთ არსებული საშუალებებით აღმოუჩინოს აუცილებელი სამართლებრივი დახმარება სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს შესაბამისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე, თუმცა იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირებაზე, მის დამუშავებასა და საჯარო ნაწილის გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელია ცენტრალური საარჩევნო კომისია, აგრეთვე სწორედ ცესკოს მიერ ამომრჩეველთა ერთიანი სიის და ამ სიის მონაცემთა ელექტრონული ბაზის განახლების მიზნით, ეს უკანასკნელი იღებს, საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესითა და ინტენსივობით, ინფორმაციას სხვადასხვა უწყებებიდან საარჩევნო უფლების მქონე პირთა და ამ უფლების არ მქონე პირთა შესახებ ახალ მონაცემებს[7], მიგვაჩნია, რომ ამ ჩანაწერის ეფექტური განხორციელებისათვის, ფუნქცია უნდა დაეკისროს იმ ორგანოს, რომელსაც გააჩნია საკმარისი ცოდნა და ფლობს და ამუშავებს შესაბამის ინფორმაციას ამომრჩეველთა ერთიანი სიის ზუსტი ფორმირებისათვის.

რეკომენდაცია: მიგვაჩნია, რომ საარჩევნო უფლების მქონე პირთა და ამ უფლების არ მქონე პირთა შესახებ ახალ მონაცემების დამუშავების ეფექტური განხორციელება შეუძლია საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელიც საარჩევნო კოდექსის თანახმად, არის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მუდმივმოქმედი ტერიტორიული ორგანო და რომლის შექმნაც, ერთი ან

[5] http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/147681

[6] თვითმმართველობის კოდექსის 85, 85^2 და 85^4 მუხლები

[7] საარჩევნო კოდექსის 31-ე მუხლის მე-6 პუნქტის ა) ქვეპუნქტი.

ერთზე მეტი თვითმმართველი ერთეულის საზღვრებში, ცესკოს უფლებამოსილებას წარმოადგენს.[8]

მცირემნიშვნელოვანი დისციპლინური გადაცდომა

ცვლილება შედის საარჩევნო კოდექსის 28-ე მუხლში. ამ მუხლს ემატება მე-5 პუნქტი, რომლის თანახმად, თუ ჩადენილია მცირემნიშვნელოვანი დისციპლინური გადაცდომა, ზემდგომ შესაბამის საარჩევნო კომისიას შეუძლია გაათავისუფლოს დამრღვევი დისციპლინური პასუხისმგებლობისგან და დასჯერდეს სიტყვიერ შენიშვნას.

ვფიქრობთ, რომ „მცირემნიშვნელოვანი დისციპლინური გადაცდომა“ არ არის სამართლებრივი ტერმინი და სუბიექტური შეფასების საგანია. ამ ტერმინის შემოღებამ შესაძლოა გამოიწვიოს ის ვითარება, როდესაც პირი „მცირემნიშვნელოვანი დისციპლინური გადაცდომის“ საბაბით საერთოდ განთავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან,

ტერმინი არ არის განჭვრეტადი, ნათელი და ტოვებს ინტერპრეტაციის ძალიან ფართო შესაძლებლობას. ფაქტიურად განუსაზღვრელ დისკრეციას ანიჭებს ზემდგომ კომისიას, აგრეთვე ატარებს სელექციური გამოყენების რისკებს.

მსგავსი ტერმინის დამკვიდრებამ შესაძლოა შემდგომი სამართალდარღვევათა წახალისება გამოიწვიოს.

რეკომენდაცია: მსგავს კონცეფციას არ ვეთანხმებით. ჩანაწერი, რომელიც უკავშირდება მცირემნიშვნელოვანი დისციპლინური გადაცდომას, არ უნდა იყოს შემოღებული.

რეგისტრირებული ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის საარჩევნო სუბიექტად ან/და საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლად რეგისტრაცია

საარჩევნო კოდექსის მე-40 მუხლს ემატება 7[1] პუნქტი რომლის თანახმად, რეგისტრირებული ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის საარჩევნო სუბიექტად ან/და საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლად რეგისტრაციაში გატარების შემთხვევაში, რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა, ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაცია ვალდებულია შესაბამის საარჩევნო კომისიას წარუდგინოს დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ საარჩევნო სუბიექტად/სუბიექტის წარმომადგენლად რეგისტრირებულ სადამკვირვებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირს *შეუწყდა (შეუწყდება)* უფლებამოსილება. აღნიშნული დოკუმენტის წარმოუდგენლობა არის ასეთი ორგანიზაციის რეგისტრაციის გაუქმების საფუძველი.

[8] საარჩევნო კოდექსის მე-19 მუხლი.

ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ინიციატივა პოზიტიურია, ვინაიდან ეხმიანება ისეთ პრობლემას, როგორიცაა ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის მანდატით რეალურად პარტიული მონიტორინგის განხორციელება, რაც პრობლემურია და წარმოადგენს სერიოზულ საფრთხეს ობიექტური და მიუკერძოებელი სადამკვირვებლო ორგანიზაციებისათვის.

აღნიშნულ პოზიტიურ ინიციატივასთან ერთად, შეიძლება პრობლემური იყოს ის ჩანაწერი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის მიერ შესაბამისი საარჩევნო კომისიისათვის ისეთი დოკუმენტის წარდგენას, რომლითაც დასტურდება, რომ საარჩევნო სუბიექტად/სუბიექტის წარმომადგენლად რეგისტრირებულ სადამკვირვებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირს მომავალში შეუწყდება უფლებამოსილება. ანუ შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს ისეთ ფაქტებს, როდესაც სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა საარჩევნო ადმინისტრაციაში წარადგინონ დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს, რომ ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს შეუწყდება უფლებამოსილება, თუმცა სამომავლოდ ეს ღონისძიება სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზებით არ განხორციელდეს, ანუ პირს უფლებამოსილება აღარ შეუწყდეს. შედეგად კი, ასეთ ორგანიზაციას არ გაუუქმდეს რეგისტრაცია და მან მაინც მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა. არ არის გამორიცხული, რომ მსგავსი ფაქტები მოხდეს, თან არაერთგზის. ამ შემთხვევაში ასეთი ორგანიზაციები აღმოჩნდებიან არათანაბარ მდგომარეობაში იმ ორგანიზაციებთან შედარებით, რომელთა უფლებამოსილ პირებსაც შეუწყდათ უფლებამოსილება და მათ ამის თაობაზე საარჩევნო ადმინისტრაციას აცნობეს.

რეკომენდაცია: საარჩევნო ადმინისტრაციას უნდა წარედგინოს მხოლოდ ისეთი შინაარსის დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს უკვე შეუწყდა უფლებამოსილება.

იგივე ეხება პროექტის 44-ე მუხლის 4[1] პუნქტსაც, რომლითაც განისაზღვრა მედია საშუალებების რეგისტრაცია.

გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღები კომისიის წევრების შერჩევის საკითხი

შემოთავაზებული ცვლილებით, საარჩევნო კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით: კომისიის წევრთაგან საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე წილისყრით გამოავლენს გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღებ კომისიის 2 წევრს (აუცილებლობის შემთხვევაში).

არსებული რედაქციის მიხედვით, პარტიების მიერ დანიშნულ კომისიის წევრთაგან საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ წილისყრით გამოვლენილი გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღები კომისიის 2 წევრი არ შეიძლება იყოს ერთი საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილი საარჩევნო კომისიის წევრი.

შემოთავაზებული ცვლილებით აღარ ხდება აღნიშნული წესის გათვალისწინება. რაც იმას ნიშნავს, რომ წილისყრაში მონაწილეობას მიიღებს როგორც პროფესიული ნიშნით

დანიშნული, ასევე პარტიების მიერ დანიშნული კომისიის წევრები, თუმცა შეიძლება შეიქმნას ისეთი ვითარება, როდესაც საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ წილისყრით გამოვლენილი გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღები კომისიის ორივე წევრი ერთი საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილი საარჩევნო კომისიის წევრი იყოს.

რეკომენდაცია: ვინაიდან შეიძლება შეიქმნეს ვითარება, როდესაც წილისყრით გამოვლენილი გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღები კომისიის 2 წევრი აღმოჩნდეს ერთი და იგივე სუბიექტის წარდგენილი, ჩანაწერი, რომ გადასატანი ყუთის წამღები არ შეიძლება იყოს ერთი საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილი საარჩევნო კომისიის წევრი, უნდა დარჩეს.[9]

საარჩევნო კომისიის წევრის ფუნქციის შეზღუდვა

61-ე მუხლის მე-2 პუნქტს ემატება დ)[1] პუნქტი, რომლის თანახმად, თუ წილისყრით გამოვლენილი გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღები კომისიის წევრი უარს განაცხადებს მინიჭებული ფუნქციის შესრულებაზე, შემდგომში კარგავს კომისიის წევრთა სხვა ფუნქციების გასანაწილებლად ჩასატარებლად მორიგ წილისყრაში მონაწილეობის მიღების უფლებას. აღნიშნული კომისიის წევრისთვის ფუნქციის მინიჭების საკითხს წყვეტს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

ვფიქრობთ, რომ თუ კომისიის წევრი უარს განაცხადებს მისი მოვალეობის შესრულებაზე ამისთვის მის მიმართ გამოყენებული იყოს დისციპლინური სანქცია. რაც შეეხება სხვა წილისყრაში მონაწილეობის აკრძალვას, ეს იქნება მის მიმართ ზედმეტად მკაცრი შეზღუდვა, რაც რეალურად ზღუდავს მისთვის კომისიის წევრის ფუნქციების სრულყოფილად განხორციელების შესაძლებლობას.

რეკომენდაცია: მსგავსი სანქცია გაუმართლებელია და არ უნდა დაწესდეს.

სანქცია კომისიის წევრის ფუნქციებში ჩარევისათვის

საარჩევნო კოდექსს ემატება 91[1] მუხლი, რომლის თანახმადაც დასჯადი ხდება საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში ჩარევა. შესაბამისად ამ ქმედებისათვის განისაზღვრა სანქცია 500 ლარის ოდენობით.

დღეს მოქმედი რედაქციით არ არსებობს ჯარიმა საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და

[9] ჯერ საკონსტიტუციო ცვლილებები განხილვის ეტაპზეა და ბლოკებში გაერთიანების უფლება არსებული რედაქციით აქვთ პოლიტიკურ პარტიებს. შესაბამისად, ამ თვითმმართველობის არჩევნებზე შესაძლოა, პოლიტიკურმა პარტიებმა სწორედ ამ უფლებით ისარგებლონ და მივიღოთ მოცემულობა, როცა ერთი სუბიექტის წარდგენილი ორი და მეტი წევრი იქნება საარჩევნო ადმინისტრაციაში. საკონსტიტუციო ცვლილებების შემდგომ კი არსს მოკლებული იქნება ამ რეგულაციის არსებობა.

საქმიანობაში ჩარევისთვის. ერთადერთი სანქცია, რასაც კომისია მიმართავს ამ ფაქტის არსებობის შემთხვევაში, ეს არის უბნიდან გაძევება. პრაქტიკაში გვქონია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც საარჩევნო კომისიას მისთვის ხელის შეშლისა და მის საქმიანობაში ჩარევის არგუმენტით უბნიდან გაუძევებია ისეთი დამკვირვებელი, რომელიც კანონის ფარგლებში მოქმედებდა, აფიქსირებდა კრიტიკას და წერდა საჩივარს საარჩევნო ადმინისტრაციისა თუ მისი ცალკეული წევრების უკანონო ქმედებების გამო.

შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ არსებობს რისკი იმისა, რომ აღნიშნული ჩანაწერი ბოროტად იქნეს გამოყენებული იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც დაწერენ საჩივარს ან დააფიქსირებენ განსხვავებულ პოზიციას საარჩევნო კომისიის ქმედებებთან დაკავშირებით.

რეკომენდაცია: ვფიქრობთ, აღნიშნული სანქციის შემოღებამდე მნიშვნელოვანია ჯერ განისაზღვროს ყველა იმ შესაძლო ქმედების ჩამონათვალი, რომელიც საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში ჩარევას გულისხმობს. ამასთან არ არსებობს ჯარიმის შემოღების საჭიროება და უბნიდან გაძევება არის სრულიად საკმარისი სანქცია იმ პირთა შეზღუდვისთვის, ვინც არასათანადოდ ერევა საარჩევნო კომისიების საქმიანობაში.